

XVII თავი

სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა

(განახლებული რედაქცია - თებერვალი, 2022 წ)

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი N2) მე-3 მუხლის თანახმად** უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვა ხორციელდება **სტუდენტური პორტალის (portal.bsu.edu.ge) მეშვეობით, რომელშიც** ინტეგრირებულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა - **spm.bsu.edu.ge** (შემდეგში - „ელექტრონული ჟურნალი“/„ელ. ჟურნალი“). პორტალით სარგებლობისათვის ბსუ-ს დასაქმებულს/**სტუდენტს** (შემდეგში - „მომხმარებელი“) გადაეცემა შესაბამისი ფუნქციის და როლის მქონე სააღრიცხვო ჩანაწერი (account), რომლითაც ახორციელებს პორტალის მოდულებში ოპერირებას (სხვადასხვა ჩანაწერის შექმნა, რედაქტირება, დათვალიერება და ა.შ.).

ბსუ-ს პორტალის ადმინისტრირების წესი და ბსუ-ს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების/დასაქმებულთა ფუნქციათა აღწერილობა განისაზღვრება ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 7 სექტემბრის N01-08/154 ბრძანებით დამტკიცებული „**ბსუ-ს სტუდენტთა ელექტრონული სერვისების მართვის წესით**“ (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი N24**).

პორტალზე/სისტემაში ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში, მომხმარებელი (ფაკულტეტის ადმინისტრაცია/შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი/პროგრამის ხელმძღვანელი/სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი/სტუდენტი) ვალდებულია ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს აღნიშნულის შესახებ წერილობითი ინფორმაცია (სტუდენტმა - სტუდენტური პორტალის - portal.bsu.edu.ge მეშვეობით, ხოლო დასაქმებულმა - ელექტრონული საქმისწარმოების შესაბამისად).

სასწავლო პროცესის მართვისა და ნაშრომის ორიგინალობის შეფასების სისტემების ძირითადი ადმინისტრატორია ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტი, ხოლო ადმინისტრირებას მონიტორინგს უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.